საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. დ., პ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.07.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №061/23

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ პ. შ.-ის /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ პ. შ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 06 ივლისს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. დ.-მ და პ. გ.-მ. საჩივრის ავტორებმა მოითხოვეს ადვოკატ პ. შ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის თანახმად, ადვოკატმა პ. შ.-მ, საჩივრის ავტორების მისამართით, რომლებიც წარმოადგენენ სასმართლოში მომუშავე საჯარო მოხელეებს, სოციალურ ქსელ facebook-ში გამოაქვეყნა შეურაცხმყოფელი პოსტი. საჩივარს, მ. დ.-მ და პ. გ.-მ თან დაურთეს ადვოკატ პ. შ.-ის მიერ სოციალურ ქსელში, ე.წ პოსტის სახით გაკეთებული განცხადებები და განმარტეს, რომ განცხადებაში მოყვანილი შემდეგი სიტყვები და ფრაზები: „ჰაივანი"; „უდღეური"; „სული აღარ გიდგას ისეც, შენ საბრალოვ"; „უწიგნური ბაღნები"; „მ. დ. ჭკუით იყავი ქალო"; „ნუ მოისპობ მომავალს", ლახავს მათ პატივს, ღირსებას და პროფესიულ რეპუტაციას. საჩივრის თანახმად ადვოკატმა პ. შ.-მ, სასამართლოში მომუშავე საჯარო მოხელეებს, გამიზნულად მიაყენა შეურაცხყოფა და შელახა მათი საქმიანი რეპუტაცია.

1.3 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატ პ. შ.-ის განცხადება სცდება გამოხატვის თავისუფლების უფლების ფარგლებს; ადვოკატის განცხადება წარმოადგენს მათი მისამართით, უხამსი ფორმით გამოთქმულ მოსაზრებას, რომელსაც არ გააჩნია პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს. ამასთან, ადვოკატ პ. შ.-ის განცხადება გაკეთებულია საჯაროდ და ხელმისაწვდომია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, მიემართება საჩივრის ავტორებს და გამიზნულია მათი შეურაცხყოფისთვის.

1.4 საჩივრის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მსგავსი ქმედებით ადვოკატმა პ. შ.-მ დაარღვია ადვოკატის პროფესიული ეთიკა და ითხოვენ მის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2023 წლის 07 ივლისს, ადვოკატმა პ. შ.-მ წარმოადგინა წერილობით ახსნა-განმარტება, ხოლო 2023 წლის 24 ივლისს მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის დისტანციურ სხდომაში. ადვოკატის განმარტებით, იმისთვის რომ გაკეთებული განცხადებები, გამოხატვის თავისუფლების ფარგლებთან შესაბამისობა შემოწმდეს, პირველ რიგში აუცილებელია, დგინდებოდეს, თავად საჩივრის ავტორები არიან თუ არა განცხადებაში ნაგულისხმები პირები და არ არსებობდეს ეჭვი, მათ ვინაობაზე. თავის მხრივ ადვოკატ პ. შ.-ის განმარტებით, მისი განცხადება არ მიემართება მომჩივან, მ. დ.-ს და მომჩივან პ. გ.-ს. ადვოკატის განმარტებით, ის ვინც მ. დ.-ის სახელით, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტში არის მოხსენიებული, არის საკუთარი შვილის ძიძა და მან აღნიშნული პიროვნების მისმართით გააკეთა განცხადება სოციალურ ქსელში, ხოლო სადავოდ გამხდარ მეორე განცხადებაში არ აქვს დაკონკრეტებული ადრესატის გვარი და შესაბამისად შეუძლებელია მისი იდენტიფიცირება. ადვოკატ პ. შ.-ის განმარტებით, მას საჩივრის ავტორებთან არ ჰქონია რაიმე იმგვარი უთანხმოება, რომელიც შესაძლებელია გამხდარიყო გაკეთებული განცხადების საფუძველი.

2.2 ადვოკატ პ. შ.-ის გნამარტებით, საჩივრის ავტორთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, ვერ ადასტურებს, რომ მისი განცხადება მათი მისამართით არის გაკეთებული. ადვოკატი ასევე

მიიჩნევს, რომ არ არსებობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის დარღვევისთის დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველი, რამდენადაც მას განცხადება, არ გაუკეთებია, როგორც ადვოკატს და შესაბამისად, მისი მხრიდან, როგორც სამოქალაქო პირის ქმედებაზე, არ შეიძლება გავრცელდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. რაც შეეხება გაკეთებულ განცხადებას, ადვოკატი მიიჩნევს, რომ ის ჯდება გამოხატვის უფლების ფარგლებში, წარმადგენს მის აზრს და არ არის უხამსობა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი პ. შ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 მოქალაქე მ. დ.-მ და პ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2023 წლის 06 ივლისს

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორთა პრეტენზიით, ადვოკატმა პ. შ.-მ მათი მისამართით, საკუთარ „facebook“ გვერდზე, გამოაქვეყნა საჯარო განცხადება - ე.წ პოსტი, სადაც საჩივრის ავტორები მოიხსენია შემდეგი სიტყვებითა და ფრაზეოლოგიით: „ჰაივანი“; „უდღეური“; „სული აღარ გიდგას ისეც, შენ საბრალოვ“; „უწიგნური ბაღნები“; „მ. დ. ჭკუით იყავი ქალო“; „ნუ მოისპობ მომავალს“. ადვოკატმა დაადასტურა განცხადების მისდამი კუთვნილება, თუმცა სრულად არ დაეთანხმა საჩივარში მითითებულ ფაქტებს და განმარტა, რომ საჩივრის ავტორები არ არიან მისი განცხადებების ადრესატები და განცხადება რეაულად სხვა პირების მისამართით არის გაკეთებული. ადვოკატმა საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად იშუამდგომლა საქმეში მოწმის სტატუსით, საკუთარი შვილის ძიძის ჩართვა და მიუთითა, რომ მისი შვილის ძიძას, მ. დ. ჰქვია და მან განცხადება მისი მისმართით გააკეთა, ხოლო რაც შეეხება პ.-ს, მისი გვარი დაკონკრეტებული არ არის და შეუძლებელია ამ პიროვნების იდენტიფიცირება.

5.2 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებას საქმეზე Nას-521-22, რომლის მიხედვითაც, „გარემოება დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ერთი მხარე მიუთითებს მასზე და მეორე მხარე არ ეწინააღმდეგება ამ მითითებებს.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეგიამ, საკითხზე მხარეთა განსხვავებული პოზიციების გათალისწინებით სადავოდ მიიჩნია ფაქტი - იყო თუ არა განცხადება საჩივრის ავტორების მისამართით გაკეთებული, რომელიც თავის მხრივ, დისციპლინურ წარმოებაში უფლებამოსილი განმცხადებლის სტატუსის დადგენასთანაა დაკავშირებული და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის საფუძველზე, მისი დადგენა საჩივრის არსებითად განხილვისთვის საჭირო წინაპირობას წარმოადგენს. ამასთან თავად „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი, ცილისწამებაზე სასამართლო დავისას წამოსაწყებად, ითხოვს განცხადების ადრესატი ცალსახად იყოს იდენტიფიცირებული, რათა სასამართლოში სასარჩელო მოთხოვნა წარადგინოს უფლებამოსილმა პირმა - განცხადების ადრესატმა, რომელიც თვლის რომ გაკეთებული განცხადებით დაირღვა მისი კანონიერი უფლებები და ინტერესები, რაც სასარჩელო მოთხოვნის არსებითად განხილვის წინაპირობაა. შესაბამისად იმისთვის, რომ საპროცესო კოლეგიამ არსებითად განიხილოს საჩივრით დაფიქსირებული პრეტენზია და შეაფასოს პირის მიერ გაკეთებული განცხადება, აუცილებელია განცხადების ადრესატების ცალსახად იდენტიფიცირება.

5.3 საპროცესო კოლეგია, საქმეზე სადავოდ გამხდარი ფაქტის დადგენის კუთხით განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. „მტკიცების ტვირთის გადანაწილების დროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ის, თუ როდის გადადის მტკიცების ვალდებულება ერთი მხარიდან მეორეზე... ხოლო, ფაქტის მითითების და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან...“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე Nას-521-22).

5.4 „მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრობითობის პრინციპის სრულად რეალიზების პირობებში... საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, ხოლო სასამართლო საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით ადგენს, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძელზე აკმაყოფილეებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.“ (საქართველოს უზეაესი სასამართლოს 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N ას-521-22).

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინურ წარმოებიაში დადგენილი ზოგადი სტანდარტით, მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, ვინც ადვოკატის მხრიდან პროფესიული

ქცევის წესის დარღვევას უთითებს. მტკიცების ტვირთის აღნიშნული გადანაწილება, პირთა კეთილსინდისიერების პრეზუმციიდან მომდინარეობს, რაც იმას გულისხმობს, რომ „კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული გარემოებების მტკიცების ტვირთი, საკანონმდებლო წესრიგიდან არსებული გადახრის მამტკიცებელ პირს ეკისრება“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/183-11). კოლეგია, დისციპლინურ წარმოებაში სადავო განცხადების გათვალისწინებით, მტკიცების ტვირთის გადანაწილების კონტექსტში განმარტავს იმასაც, რომ რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა გულისხმობს სხვა ადამიანის დამცირების, პატივისა და ღირსების შელახვისკენ მიმართულ, ზეპირი ან წერილობითი ფორმით გამოხატულ უხამს განცხადებას, ხოლო მაშინ, როდესაც პირი დავობს შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, აუცილებელია იდენტიფიცირებული იყოს განცხადების ადრესატი და შესაბამისად სარჩელის წარდგენაზე უფლებამოსილი პირი, რისი მტკიცების ვალდებულებაც თავად მოსარჩელე მხარეს აქვს.

5.6 შესაბამისად, საჩივრის ავტორებს, მ. დ.-სა და პ. გ.-ს, როგორც დისციპლინურ წარმოებაში, ასევე სიტყვისა და აზრის გამოხატვის წინააღმდეგ მიმართულ დავებში დადგენილი მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, ეკისრებოდათ პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიისთვის მიეთითებინათ ის ფაქტები და წარედგინათ ის უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ადვოკატმა პ. შ.-მ, სოციალურ ქსელში გაკეთებული განცხადებით შეურაცხყოფა მიაყენა მათ, რაც ადვოკატის მხრიდან პროცესის მონაწილე პირის მიმართ, ქცევის სტანდარტის დარღვევის შემადგენლობას შექმნიდა.

5.7 თავის მხრივ, საჩივრის ავტორებმა საკუთარი პრეტენზიის დასამტკიცებლად ეთიკის კომისიაში წარმოადგინეს, მხოლოდ წერილობითი ახსნა-განმარტება და არ გამოიყენეს, ეთიკის კომისიის მხრიდან მათთვის არაერთხელ შეთავაზებული უფლება, ზეპირად წარედგინათ ახსნა-განმარტება საპროცესო კოლეგიისთვის. რაც შეეხება მტკიცებულებებს, მ. დ.-მ და პ. გ.-მ, წარმოადგინეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული ცნობები, რომლითაც დგინდება, მხოლოდ ის ფაქტი, რომ საჩივრის ავტორები, მუშაობენ ბათუმის საქალაქო სასმართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში.

5.8 საპროცესო კოლეგია, საჩივრის ავტორების მიერ, ეთიკის კომისიისთვის ზეპირი ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმასთან და სადავო ფაქტის ირგვლივ მათი მტკიცების ტვირთის ვალდებულებასთნ დაკავშრებით განმარტავს, რომ დისციპლინური წარმოება წარმოადგენს კვაზი სასამართლო წარმოებას; ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური წარმოება კონფიდენციალურია და თითოეული ინფორმაცია რომელიც წარმოებისას გახდა მხარეთათვის ცნობილი არ არის განკუთვნილი საჯაროდ გამოყენებისთვის, შესაბამისად წარმოების თითოეული მხარე დაცულია კანონის შესაბამისად. საჩივრის ავტორებს უფლება ჰქონდათ საკუთარი შეხედულემისამებრ წარაედგინათ მათი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები ეთიკის კომისიისთვის, მიეთითებინათ შესაბამისი ფაქტები და უარი ეთქვათ ეთიკის კომისიისთვის სხდომაში მონაწილეობის მიღებაზე, რაც შეჯიბრობითობის პრინციპიდან გამომდინარეობს, თუმცა

მტკიცების ტვირთის ეფექტურად განხორციელების მიზნით, სასურველი იყო საჩივრის ავტორებს ზეპირად წარმოედგინათ მათი განმარტება კოლეგიისთის, რადგან თითოეული საპროცესო მოქმედების განხორციელება თუ განუხორციელებლობა მათი ნების ავტონომიისა და რისკის სფეროში ექცევა და ეთიკის კომისიას შესაძლებლობას აძლევს იმსჯელოს მხოლოდ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებისა და საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში.

5.9 კოლეგია, თავის მხრივ ადგენს, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება, რომ ადვოკატმა სოციალურ ქსელში გაკეთებული განცხადებით, მიმართა საჩივრის ავტორებს, რაც გამორიცხავს ადვოკატის ქმედების - ამ შემთხვევაში განცხადების პროფესიულ ეთიკასთან შესაბამისობის შემოწმების შესაძლებლობას. საჩივრის ავტორებმა ვერ უზრუნველყვეს მათზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების განხორციელება და საქმესთან დაკავშირებით არ წარმოადგინეს ის მტკიცებულებები, რომლებიც დაამტკიცებდნენ ადვოკატის მხრიდან მათი მისამართით განცხადების გაკეთების ფაქტს. მ. დ.-მ და პ. გ.-მ, არ გამოიყენეს ეთიკის კომისიის მიერ, მათთვის არაერთხელ შეთავაზებული უფლება, ზეპირად მიეცათ ახსნა-განმარტება საპროცესო კოლეგიისთვის; მათ არათუ მტკიცებულებებით არ გაამყარეს საჩივარი, არამედ არ მიუთითეს კოლეგიას ის ფაქტები, თუ რის საფუძელზე შეიძლებოდა ადვოკატს გაეკეთებინა მსგავსი განცხადება მათი მისამართით. საჩივრის ავტორებმა ვერ შეძლეს საპროცესო კოლეგიისთვის მიეთითებინათ ის ფაქტები და წარედგინათ ის მტკიცებულებები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა დადგენილიყო, მხარეთა შორის, პროფესიული საქმიანობის პროცესში დაძაბული და დაპირისპირებული ურთიერთობის წარმოშბის ფაქტი, რაც ადვოკატ პ. შ.-ის მხრიდან მსგავსი განცხადების გაკეთების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო და რომელსაც შესაძლოა გამოეწვია მტკიცების ტვირთის შებრუნება.

5.10 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ის არ იზიარებს ადვოკატ პ. შ.-ის მტკიცებას, თითქოს განცხადება მის ძიძას მიემართებოდა, მაშინ როდესაც, კოლეგიამ დააკმაყოფილა მოპასუხე ადვოკატის შუამდგომლობა მოწმის სახით გამოეკითხვა მის მიერ მითითებული პიროვნება - მ. დ., თუმცა ადვოკატმა ვერ შეძლო, მოწმის სახით აღნიშნული პირის საქმეში ჩართვა, რაც საპროცესო კოლეგიას უქმნის შინაგან რწმენას, რომ პოსტი არ მიემართებოდა ადვოკატ პ. შ.-ის მიერ დასახელებულ პიროვნებას - ოჯახის ძიძას. თუმცა, საქმეზე საჩივრის ავტორების მიერ საკუთარი პოზიტიური ვალდებულების განუხორციელებლობამ, ვერ უზრუნველყო მტკიცების ტვირთის ადვოკატზე გადატანა და შესაბამისად ადვოკატის მიერ განხორციელებული მტკიცების შეფასებამ არ იქონია მისაღებ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა.

5.11 საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლისმე-7 ნაწილის საფუძველზე, პირის მიმართ პრეტენზიის ბრალდების შემთხვევაში, ფაქტის დადგენისთვის აუცილებელია გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, ხოლო მაშინ, როდესაც საჩივრის ავტორების მიერ განხორციელებული მტკიცება, ვერ აკმაყოფილებს სათანადო მტკიცებით სტანდარტს, საპროცესო კოლეგია ვერ დაადგენს ადვოკატ პ. შ.-ის მხრიდან საჩივრის ვტორთა მისმართით, მითითებული განცხადებების გაკეთების ფაქტს.

5.12 საჩივრის ავტორებმა, ვერ უზრუნველყვეს საკუთარი პოზიტიური ვალდებულების განხორციელება და ვერ დაადასტურეს, რომ ადვოკატ პ. შ.-ის პოსტი მათი მისამართით იყო გამოქვეყნებული, რაც თავის მხრივ, დისციპლინურ წარმოებაში უფლებამოსილი განმცხადებლის სტატუსის დადგენასთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის საფუძველზე, მ. დ. და პ. გ. არ არიან ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანაზე უფლებამოსილი პირები, რაც დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დისციპლინური წარმოებუის შეწყვეტის საფუძველია.

5.13 საპროცესო კოლეგია, ადვოკატთა საერთო კორპორაციული ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით აქვე განმარტავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, საჩივარი არ იქნა არსებითად განხილული და კოლეგიამ არსებითად ვერ შეაფასა გაკეთებული განცხადების შინაარსი, განცხადების არაორაზროვნად ხისტი, შეურაცხმყოფელი და არაპატივსაცემი დამოკიდებულების გათალისწინებით, საერთო ჯამში, განცხადება შესაძლოა არ იყოს სიკეათისა და სასურველი შედეგების მომტანი ადვოკატთა კორპუსის საერთო ინტერესისთვის, რაც შესაძლებლობას აძლევს ადვოკატთა ეთიკის კომისიას, რეკომენდაცია მისცეს ადვოკატს, თავი შეიკავოს მომავალში მსგავსი კომუნიკაციისა და მიმართვის ფორმისგან, მაშნ როდესაც საზოგადოებაში შესაძლებელია არსებობდეს მოლოდინი იმისა, რომ ადვოკატის განცხადება მიემართება სასმართლო მოხელეებს, რაც საერთო ჯამში, ადვოკატის პროფეიის რეპუტაციაზე არ ჰპოვებს დადებით ზეგავლენას.

5.14 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 9. (ვ) მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №061/23 ადვოკატ პ. შ.-ის /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმის შეწყვეტის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/